

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საგანმანათლებლო
პროგრამების კატალოგი

სარჩევი

შესავალი	4
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში	4
პროგრამის დეტალები	4
პროგრამის მიზანი	4
პროგრამაზე დაშვება	4
სწავლების შემდგომი საფეხური	5
დასაქმების სფერო.....	5
სწავლის შედეგები	5
სასწავლო კომპონენტები	7
ძირითადი სასწავლო კურსები	7
სპეციალობის სასწავლო კურსები.....	9
სამაგისტრო ნაშრომი.....	10
სასწავლო გეგმა.....	10
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	11
პროგრამის დეტალები	11
პროგრამის მიზანი	11
პროგრამაზე დაშვება	11
სწავლების შემდგომი საფეხური	11
დასაქმების სფერო.....	11
სწავლის შედეგები	11
სასწავლო კომპონენტები	16
ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტი	19
სასწავლო გეგმა.....	22
1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	23
1.1 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	23
1.2 სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	23
1.3 ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება	25
1.4 სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვება ..	26
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და აღდგენა.....	27
2.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება	27
2.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	27
2.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა	28

3. აკადემიური რეგულაციები	29
4. ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სწავლის საფასური	30
4.1 ადმინისტრაციული რეგისტრაცია.....	30
4.2 სწავლების საფასური	31
სასწავლო პროცესი.....	32
სწავლების ენა	32
აკადემიური წელი.....	32
სტუდენტის დატვირთვა	32
სტუდენტის შეფასების წესი	33
დამატებითი სემესტრი/ტრიმესტრი	34
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სწავლების რეჟიმი და გადახდის წესი.....	34
კვალიფიკაციის მინიჭება	34
დიპლომი	34
საკონტაქტო ინფორმაცია	35

შესავალი

წინამდებარე კატალოგი წარმოადგენს მეგზურს აბიტურიენტთათვის და შპს “საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის” სტუდენტთათვის, რომელიც მოიცავს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების აღწერებს და აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგულაციებს, რაც დაეხმარება სტუდენტს სწავლის პროცესის წარმატებით წარმართვაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

პროგრამის დეტალები

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ლომიძე, PhD

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ფინანსისტები, რომლებიც სიღრმისეული და თანამედროვე ცოდნის, პროფესიული და ტრანსფერული უნარების საფუძველზე შეძლებენ ხარისხიანად განახორციელონ მმართველობითი ფუნქციები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შეძლებენ, შეეჭიდონ, გააანალიზონ და ადეკვატურად უპასუხონ დარგის თანამედროვე გამოწვევებს. საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

აღნიშნულის მიღწევის მიზნით კურსდამთავრებულებს ექნებათ შემდეგი სახის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური მიმართულებების ღრმა თეორიული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- მმართველობითი ფუნქციებისა და როლების განხორციელებისას კონცეპტუალური, სისტემური და სტრატეგიული ხედვის, მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბების, პრობლემების დანახვის, მათი კომპლექსურად გაანალიზების და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე ლოგიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბების, გუნდური მუშაობის და ინტერპერსონალური ურთიერთობების ხარისხიანად წარმართვის, დარგობრივი და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის (წერილობითი/ვერბალური) უნარი;
- თანამედროვე ტექნოლოგიების და კვლევის მეთოდების გამოყენებით კვლევების დაგეგმვის და განხორციელების უნარი;
- კონკურენტულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაციის, კრიტიკული აზროვნების, საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის, თვითგანვითარების, დასახული მიზნების მიღწევის, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, დროული და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;

პროგრამაზე დაშვება

1. პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდას და დააკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
2. მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს და რომლებმაც:
 - ა) უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

3. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობს მობილობის უფლებით და დააკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

სწავლების შემდგომი საფეხური

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში.

დასაქმების სფერო

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მიმართულებების გამოვლენის და სამუშაო პოზიციების განსაზღვრის მიზნით ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა: საჯარო და კერძო კომპანიების online გამოკითხვა, დასაქმების საძიებო პორტალების (ქართული/უცხოური) დამუშავება, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა-განალიზება. ასევე, შედგა სამუშაო შეხვედრა დარგის ექსპერტებთან (პოტენციურ დამსაქმებლებთან). გამოიკვეთა მოთხოვნები, რასაც შრომის ბაზარი უყენებს სამუშაოს მაძიებელს. სწორედ ეს მოთხოვნები დაედო საფუძვლად პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა შემდეგი მიმართულებებით:

- ბიზნესის მართვა, განვითარება, ანალიტიკა;
- ფინანსების დაგეგმვა, მართვა, მონიტორინგი;
- ფინანსური რეპორტიინგი, ანალიზი, პროგნოზირება;
- ბიუჯეტირება და კონტროლი;
- კორპორაციული საბანკო მომსახურება;
- საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვა;
- სტრატეგიული პროექტების დაგეგმვა და მართვა;
- საოპერაციო პროცესების დაგეგმვა და მართვა;
- ინვესტირებთან ურთიერთობა და ფინანსური რესურსების მოზიდვა;
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა;

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ კომპეტენციებს:

I) ცოდნა და გაცნობიერება:

1. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ფუნქციონალური მიმართულებების - აღრიცხვა-ანგარიშგების, ბიუჯეტირების, ფინანსების დაგეგმვისა და მართვის, კომპანიის ფინანსური

მდგომარეობის ანალიზისა და პროგნოზირების, რისკების გაზომვისა და შეფასების, ფინანსური პორტფელების მართვისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების, ფინანსური ინსტიტუტებისა და საბანკო საქმის საკითხების სისტემური ცოდნა, რომელიც ეფუძნება ფინანსების დარგის თანამედროვე ტენდენციებს და გამოწვევებს, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, წესებს, მეთოდებს, ტექნიკებს, მოდელებსა და მიდგომებს;

2. პროგრამის კურსდამთავრებულმა ასევე იცის: სტრატეგიული მართვის თანამედროვე კონცეფციები, სტრატეგიული ბიზნეს-კომუნიკაციის ტექნიკები, ბიზნეს-პროცესების ოპერირების სხვადასხვა მოდელები, პროექტების დაგეგმვასა და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირებისა და იმპლემენტაციის მეთოდები, მენეჯერული ეკონომიკის თეორიები, სტატისტიკური და რაოდენობრივი მეთოდები, კვლევების ძირითადი მიდგომები და ეტაპები, კვლევისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები, ორგანიზაციული სტრუქტურის, კულტურის და ღირებულებების შემუშავებასა და მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ბიზნესთან დაკავშირებული საგადასახადო სამართლის მარეგულირებელი ნორმები.

II) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს უვითარდებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, რის შესაძლებლობასაც იძლევა თეორიისა და პრაქტიკის სინთეზზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ბიზნესის სტრატეგიის შეფასება, ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედებების დაგეგმვა, პროექტების შემუშავება და კონტროლი;
2. კომპანიის საოპერაციო პროცესების მართვა, მისი ორგანიზაციული მოწყობა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ეკონომიკური პროცესების ანალიზზე დაყრდნობით; ბიზნესის წარმოება სამართლის ნორმების შესაბამისად;
3. ბიზნესში განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრული დამუშავება და საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, ანგარიშგების კრიტიკული ანალიზი და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, ფინანსების მართვა, ხარჯების კონტროლი, ბიუჯეტირება და ფინანსური პროგნოზის გაკეთება;
4. ფინანსური ინსტიტუტების ანალიზი და შეფასება, ფასიანი ქაღალდების და კომპანიების რეალური ღირებულების დადგენა, ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შედგენა, რისკების ანალიტიკა და მართვა;

III) დასკვნის უნარი:

1. საკვლევი საკითხის ირგვლივ მოძიებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი მეთოდოლოგიით დამუშავება, სინთეზი და სიღრმისეული შესწავლა; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შემუშავება.

IV) კომუნიკაციის უნარი:

1. ბიზნეს გარემოში, როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ჯგუფურ და სისტემურ დონეზე ეფექტური კომუნიკაცია - სხვადასხვა სახის მონაცემთა წყაროებზე დაყრდნობით წერილობითი ანგარიშების/რეპორტების შემუშავება, პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა.

V) სწავლის უნარი:

1. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და დროის რაციონალურად განაწილება. ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, დამუშავება და მიზნობრივად გამოყენება. კვლევის განხორციელება და მისი აკადემიური წერის ნორმების დაცვით გაფორმება.

VI) ღირებულებები

1. ორგანიზაციული კულტურისა და ღირებულებების გათავისება. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, პუნქტუალობის, პასუხისმგებლობის და კონფიდენციალურობის მნიშვნელობის ცოდნა/გაცნობიერება, საქმის ეთიკური და სამართლის ნორმების დაცვით წარმოება.

სასწავლო კომპონენტები

სასწავლო კურსები დაყოფილია 2 ჯგუფად: ძირითადი და სპეციალობის. ასევე პროგრამით გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი. თითოეული ნაწილის დატვირთვა შესაბამისად შეადგენს:

ძირითადი: 66 ECTS კრედიტი;
სპეციალობის: 28 ECTS კრედიტი;
სამაგისტრო ნაშრომი : 26 ECTS კრედიტი.

ძირითადი სასწავლო კურსები

ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება

კურსის მიზანია დაანახოს სტუდენტებს ფინანსური აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა საწარმოს წარმატებული ფუნქციონირებისათვის. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საწარმოში განხორციელებული ოპერაციების დამუშავებას სააღრიცხვო ციკლის პროცედურების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების (აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები) აღრიცხვას და შეფასებას საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით. ასევე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და მის გაანალიზებას პრაქტიკაში გავრცელებული კოეფიციენტების საშუალებით.

რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესისათვის

კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს რაოდენობრივი და სტატისტიკური ანალიზის ფუნდამენტური და გაღრმავებული ცნებები, კლასიკური და თანამედროვე მეთოდები და მათი გამოყენებები ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სტრატეგიული ბიზნეს კომუნიკაცია

კურსი მიზნად ისახავს შეასწავლოს სტუდენტებს ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების შემუშავების და მისი წარმატებით განხორციელების მეთოდები. გამოუმუშავოს მათ ინტერპერსონალური და გუნდური კომუნიკაციის უნარები.

მარკეტინგული სტრატეგია და ანალიზი

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მარკეტინგული სტრატეგიის არსი, შეასწავლოს მათ სხვადასხვა სტრატეგიები და მათი შემუშავების, ანალიზისა და შეფასების მეთოდები. გამოუმუშავოს მათ მარკეტინგული პრობლემების იდენტიფიკაციის, სტრატეგიის განსაზღვრის, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის უნარი, რაც სათანადო ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობაა. კურსი დაფუძნებულია რეალურ ბიზნეს სიტუაციებზე, რომელთა შესწავლისას სტუდენტები განიხილავენ კომპანიაში არსებულ მარკეტინგულ სიტუაციებს და შეიმუშავენ რეკომენდაციებს მოცემული სიტუაციის გაუმჯობესებისათვის.

ეკონომიკური ანალიზი მენეჯერთათვის

კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს მენეჯერული ეკონომიკის ძირითადი მეთოდები და მოდელები; ჩამოუყალიბოს მათ ანალიტიკური ეკონომიკური აზროვნება; შეასწავლოს ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისა და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში.

კორპორაციული ფინანსები

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს კორპორაციული ფინანსების მართვის მეთოდები, მოდელები და ხელი შეუწყოს შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კურსში ყურადღება გამახვილებულია და დეტალურად შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორცაა: ორგანიზაციის ფინანსური რესურსების სწორად შეფასება და რესურსების მოძიებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება და ფულის დროითი ღირებულებების გაანგარიშება. ასევე, პროექტების მომგებიანობის შეფასება კაპიტალის ბიუჯეტირების სხვადასხვა მეთოდისა და კოეფიციენტების გაანგარიშების გამოყენებით.

ოპერაციათა მენეჯმენტი

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტთა მომზადებას ოპერაციული პროცესების სწორად განხორციელებისათვის მმართველობით საქმიანობაში. იგი წარმოადგენს ბიზნეს-ოპერაციების რაციონალურად, ოპტიმალურად დაგეგმვა-ორგანიზებისა და განხორციელების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე. ოპერაციული მართვა წარმოადგენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შესახებ დისციპლინას, რომელიც გამიზნულია შიდა ორგანიზაციული პროცესების ეფექტური და ეფექტიანი მართვისთვის.

პროექტების მართვა

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს შეასწავლოს პროექტის დაგეგმვა, განხორციელება, კონტროლი და მონიტორინგი. კურსში განხილულია პროექტის სასიცოცხლო ციკლი და თითოეულ ეტაპთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა: სამუშაოს მოცულობის გასნახვლა, შრომის ორგანიზება, რისკების მართვის პროცესი, სამუშაოს კონტროლი და რეპორტირება.

საგადასახადო და ბიზნეს სამართალი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს ბიზნეს საქმიანობისთვის აუცილებელი სახელშეკრულებო, საკორპორაციო და საგადასახადო სამართლის მარეგულირებელი ნორმების ცოდნა, მათი პრაქტიკაში გამოყენების და ბიზნესთან დაკავშირებული სამართლებრივი რისკების იდენტიფიცირების უნარი. აღნიშნული კურსი უზრუნველყოფს სწავლების თანმედროვე მეთოდების გამოყენებით ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების იმ საკითხების სიღრმისეულ შესწავლას, რომელიც წარმოიშობა ბიზნესის წარმოების პროცესში და აქტუალურია ბიზნესის სამართლებრივ ჩარჩოების განხორციელებისათვის.

ამ თვალსაზრისით, კურსის განმავლობაში განხილული იქნება: საკორპორაციო, სახელშეკრულებო და საგადასახადო სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები, განხორციელება საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების ანალიზი, შესწავლილი იქნება საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზები, მოხდება სამართლის და ეკონომიკის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის სამართლებრივი გზების განხილვა.

მენეჯერული აღრიცხვა და ბიუჯეტირება

კურსის მიზანია სტუდენტებს დაანახოს მენეჯერული აღრიცხვის და ბიუჯეტირების, ასევე ბიუჯეტს მიღმა ინფორმაციის მნიშვნელობა ორგანიზაციის წარმატებისათვის აუცილებელი სტრატეგიის ფორმირებისა და იმპლემენტაციის პროცესში. ჩამოაყალიბებინოს მაჩვენებლები, რომლებიც დაეხმარება მათ ზემოაღნიშნულის გაანალიზებაში. კურსი მიმართულია ორგანიზაციის საწარმოო და სერვის პროცესებში არსებული ხარჯების დადგენა, ანალიზისა და გაანგარიშებაზე. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის მოძიებაზე, რაც დაეხმარება ორგანიზაციის მმართველებს ფინანსების დაგეგმვაში, როგორც სტრატეგიულ ასევე საოპერაციო დონეზე. მენეჯერული აღრიცხვა გამიზნულია კომპანიის შიდა მომხმარებლებზე და გამოიყენება ხარჯთაღრიცხვის, ბიუჯეტირების და სტრატეგიული/საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ორგანიზაციული ქცევა

კურსის მიზანია, ორგანიზაციულ კონტექსტში, ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის შესწავლა და გაანალიზება. ორგანიზაციული ქცევის თეორიებისა და პრაქტიკის ურთიერთშესაბამისობაში დანახვა და ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის, დიზაინისა და კულტურის ზეგავლენის გაცნობიერება ინდივიდის ქცევაზე. სტუდენტები ასევე შეისწავლიან მოტივაციის, ლიდერობის, სტრესის მართვის მეთოდებს და მათ გამოყენებას ორგანიზაციული პროდუქტიულობის გასაზრდელად.

სტრატეგიული მენეჯმენტი

კურსის მიზანია განსაზღვროს: რა არის სტრატეგიული პოზიცია ზოგადად და როგორი უნდა იყოს ის კონკრეტული კომპანიისათვის. ასევე, როგორ უნდა შექმნას კომპანიამ სტრატეგია, მიაღწიოს მიზანს და დაიცვას სტრატეგიული პოზიცია.

კურსის ფარგლებში, სხვადასხვა ბიზნესის სიტუაციური ანალიზების და ქეისების განხილვის შედეგად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების, შერჩევის და იმპლემენტაციის უნარი.

კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა

კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტს კვლევის ფილოსოფია, ძირითადი მიდგომები და ტიპები. შეასწავლოს ბიზნესისა და ფინანსების სფეროს კვლევის თანამედროვე მეთოდები; შესძინოს კომპეტენციები კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და კრიტიკული ანალიზისთვის; გამოუმუშავოს კვლევის გეგმისა და ანგარიშის მომზადების უნარ-ჩვევები, გაუღრმავოს წყაროების მოძიებისა და წყაროებთან მუშაობის უნარ-ჩვევები. კურსი ასევე მიზნად ისახავს სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური წერის უნარები. შეასწავლოს ის მეთოდები და ხერხები, რაც აუცილებელია სამაგისტრო თეზისებისა და კვლევის ანგარიშის მოსამზადებლად.

სპეციალობის სასწავლო კურსები

ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს შეასწავლოს მსოფლიო საფინანსო სექტორების (საინვესტიციო ფონდების, ფასიანი ქაღალდების ბირჟების, საბანკო სექტორის, ცენტრალური ბანკების და ე.წ. fintech კომპანიების) საქმიანობის შინაარსი და თავისებურებანი, ასევე საფინანსო სექტორის წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევები და ახალი ტენდენციები. ასევე კურსის მიზანია სხვადასხვა მიმართულებების სინთეზური ანალიზი, როგორცაა: ეკონომიკა, ფინანსები და საფინანსო სექტორის მართვა რათა შედეგად სტუდენტს გადასცეს ცოდნა, რომელიც აუცილებელია ფინანსური ინსტიტუტების ანალიზისა და შეფასებისთვის.

საინვესტიციო გადაწყვეტილებები და ფინანსური პორტფელის მენეჯმენტი

კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს ფასიანი ქაღალდების და კომპანიების რეალური ღირებულების დადგენა. ასევე, ფასიანი ქაღალდებში ინვესტირებით ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შედგენა. კურსი მოიცავს ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დისციპლინათა ფართო სპექტრს. მათ შორის: ფასიანი ქაღალდების ფასწარმოქმნის პრინციპებს, რისკის შეფასებასა და სტატისტიკურად მოსალოდნელი ამონაგების გამოთვლის მოდელებს, კომპანიების შეფასების პრინციპებს, საინვესტიციო პორტფელის შექმნის, მართვისა და რისკების კონტროლის პრაქტიკულ მეთოდებს.

ფინანსური ანალიზი

ფინანსური უწყისების და ანგარიშების მნიშვნელობა განპირობებულია მათი გამოყენების მრავალფეროვნებით, როგორც ანალიზის საშუალება, მენეჯერის მუშაობის შეფასების საშუალება, პრობლემების დროულად იდენტიფიცირების შესაძლებლობა და სხვა. კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ცოდნას და ექნებათ უნარი გაანალიზონ თუ რა და რატომ დგას რიცხვების უკან და მოახდინონ მათი დეტალური ინტერპრეტაცია. ფინანსური ანგარიშების კრიტიკული ანალიზი, სტუდენტს მისცემს არამხოლოდ სტანდარტული კოეფიციენტების დათვლის საშუალებას, არამედ ფინანსური ანგარიშების სუსტი წერტილების გამოვლენის შესაძლებლობას, რაც საბოლოო ასახავს ჰპოვებს ეფექტური ბიზნეს სტრატეგიებისა და გამართული ბიზნეს მოდელების შემუშავებაში.

რაოდენობრივი რისკების მენეჯმენტი

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს სიღრმისეულად შეასწავლოს ფინანსური რისკების გაზომვის მეთოდები. გააცნოს გავრცელებული რისკ მოდელები და შეისწავლოს მათი ტექნიკური მხარეები. აგრეთვე, გაეცნოს რისკის ჭრილში მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე არსებული სტანდარტები. სასწავლო კურსში განხილულია საბაზრო, საპროცენტო, საკრედიტო, ოპერაციული, ლიკვიდობის და სხვა რისკ კატეგორიების მოდელირების და რაოდენობრივი შეფასების მეთოდები.

ფინანსური პროგნოზირება

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გააცნოს ფინანსური პროგნოზირების პარადიგმები და პროგნოზირების როგორც ტექნიკური, ასევე ფუნდამენტური მეთოდები, რაც მას გაულრმავებს ფინანსური ინფორმაციის პირველად და მეორეულ წყაროებთან ანალიტიკური მუშაობის უნარ-ჩვენებს. კურსი ორიენტირებულია სტუდენტს შეასწავლოს ის საკითხები, რომელიც არგუმენტირებული და გაზომვადი ვალიდურობის მქონე ფინანსური პროგნოზირების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას იძლევა. სასწავლო კურსის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზირებაზე, როგორცაა კომპანიის მოსალოდელი მოგება, მისი ზრდა და მოსალოდნელი ფინანსური სენსიტიურობა.

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის ანგარიშს, რომლის კვლევის საგანი დაკავშირებულია ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დარგთან და მიზნად ისახავს ამ დარგში ცოდნის გაფართოვებას და გაღრმავებას, მოქმედი ორგანიზაციის (საკვლევი კომპანიის) საქმიანობის შესწავლას, პრობლემის იდენტიფიცირებას, საჭირო კვლევების ჩატარებას, მიღებული შედეგების ანალიზს, დასკვნების მკაფიოდ და დასაბუთებულად ჩამოყალიბებას და პრობლემის გადაჭრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მოახდინოს სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია და გაღრმავება. მასში ასახული უნდა იყოს ის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სტუდენტმა მიიღო სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დროს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა საშუალებას აძლევს სტუდენტს კონკრეტული საკვლევი კომპანიის პრობლემის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით უფრო ღრმად შეისწავლოს და დაამუშაოს ის საკითხები, რომლებიც მისი კვლევის ინტერესს წარმოადგენს და ამავე დროს კონტრიბუცია იქნება ბიზნესის ადმინისტრირების დარგში.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს ჩატარებული კვლევის არგუმენტირებულ შედეგს, უნდა აკმაყოფილებდეს სიახლის მოთხოვნას და წვლილი უნდა შეჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების განვითარებაში.

სასწავლო გეგმა

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა ორი წელი და მოიცავს 120 ECTS კრედიტს. აკადემიური წელი იყოფა სამ ტრიმესტრად. ტრიმესტრების ხანგრძლივობაა: I, II, IV, V - 14 კვირა; III – 10 კვირა; VI – 17 კვირა. პირველი ხუთი ტრიმესტრი ეთმობა სასწავლო კურსებს, ხოლო ბოლო მეექვსე ტრიმესტრი – სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის დეტალები

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ლომიძე, PhD

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო ცოდნას და უნარებს ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და ამავდროულად გამომუშავებული აქვთ გლობალურ გარემოში ადაპტაციის მნიშვნელოვანი ტრანსფერული უნარები, როგორცაა მიზნის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილებების მიღება, სტრატეგიული ხედვა, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობა, ლოგიკური აზროვნება, ეთიკის, სოციალური პასუხისმგებლობისა და სამართლებრივი ნორმების დაცვა.

პროგრამაზე დაშვება

პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე დაიშვება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ან მასთან გათანაბრებულ პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნული გამოცდებს.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება. მეოთხე არჩევითი საგანია მათემატიკა.

პროგრამაზე განსხვავებული წესით ჩარიცხვა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე/მოხილობა) რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სწავლების შემდგომი საფეხური

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სწავლების შემდეგ საფეხურზე, მაგისტრატურაში.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეეძლება დაიკავოს კერძო და საჯარო სექტორში ქვედა და საშუალო დონის მენეჯერული პოზიციები მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების მიმართულებით, ასევე ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და თავად გაუძღვეს სხვადასხვა ინდუსტრიაში მიკრო და მცირე ბიზნესს.

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; ბიზნესის ადმინისტრირების ისეთი ძირითადი საკითხების ცოდნა, როგორცაა:

- ბიზნეს ორგანიზაციები და მათი მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების მეთოდები, სხვადასხვა დონის მენეჯერების უფლება-მოვალეობები;
- ბიზნესის წარმოების სამართლებრივი გარემოს საბაზისო საკითხები: სამეწარმეო ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, კომპანიების შექმნის და გარდაქმნის წესი, კონტრაქტის არსი, დადების წესი და სახეები, ვალდებულების შესრულების და შესრულების უზრუნველყოფის სპეციფიკა,

საგადასახადო ურთიერთობები, შრომითი და სავაჭრო ურთიერთობები, გაკოტრების პროცედურის სპეციფიკა;

- ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპები და თანამედროვე მიმდინარეობები. ცხოვრებისეულ და პროფესიულ საქმიანობასთან, ბიზნესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური კანონზომიერებები.
- ადამიანური რესურსების მართვის კავშირი ორგანიზაციის სტრატეგიასთან, რეკრუტირების (სასურველი პერსონალის იდენტიფიკაცია და მოზიდვა) , შერჩევის, პერსონალის ტრენინგის და განვითარების მეთოდები, პერსონალის შეფასების სიტემები, კომპენსაციის სქემები;
- ოპერაციების როლი ორგანიზაციებში და მათი კავშირი სხვადასხვა ფუნქციონალურ მიმართულებებთან, ოპერაციათა მართვის საფუძვლები, პროცესების მნიშვნელობა და არსი, ტრასფორმაციის სისტემური მოდელი, ორგანიზაციის საწარმოო რესურსები და მათი მართვის მეთოდები, ორგანიზაციის ადგილმდებარეობის და მოწყობის ძირითადი პრინციპები და მიდგომები, ხარისხი, ხარისხის მართვა, ხარისხის მართვის მეთოდები;
- პროექტის განხორციელებადობის ანალიზის ჩატარება, პროექტში დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მუშაობა, პროექტების მართვის ციკლი (წამოწყება, შინაარსის მართვა, შეფასება), პროექტის ვადების, ხარჯების და რესურსების სწორი დაგეგმვა, სისტემების ფუნქციონალური, ტექნიკური, წარმადობის და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრის მეთოდები, პროექტების რისკების იდენტიფიკაციის და მართვის პროცესები, ხარისხის კონტროლის/ტესტირების მეთოდოლოგია, პროექტის გუნდის შედგენის და მართვის პროცესები, პროექტის შესრულების ფაზის კონტროლი და მენეჯმენტთან ანგარიშგება, პროექტის დასრულების/დახურვის პროცესები;
- ორგანიზაციული სტრატეგიების სახეები, სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი და მისი დანერგვის მნიშვნელოვანი კომპონენტები;
- კომპანიაში წარმოებული მარკეტინგული ფუნქციები, მარკეტინგული მიქსის ელემენტები, ინდუსტრიის, კონკურენტებისა და ბაზრის ანალიზის, სეგმენტაციის, მიზნობრივი ბაზრის ამორჩევის და პოზიციონირების მეთოდები, ფასწარმოქმნის, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის გზები;
- გაყიდვების როლი და მისი სტრატეგიული მნიშვნელობა, გაყიდვების აგენტის ფუნქცია-მოვალეობები, მათი შერჩევისა და შეფასების მეთოდები, პირდაპირი მარკეტინგის პრინციპები, გაყიდვების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი გაყიდვების სფეროში;
- მომხმარებლის ქცევის ძირითადი პრინციპები და თეორიები, მომხმარებლისთვის დამახასიათებელი პიროვნული ნიშან-თვისებები, მათი სოციალური განწყობის და ქცევის თეორიები, მომხმარებლის ქცევის სოციალური და კულტურული განზომილებები, მარკეტინგული კომპლექსის დაგეგმვა-განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი თეორიები და პრინციპები;
- მარკეტინგული კვლევის ძირითად თეორიები და პრინციპები, კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდები, მონაცემთა მიღების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები;
- ფინანსური აღრიცხვის საკითხების ფართო თეორიული ცოდნა. კერძოდ, საწარმოში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული დამუშავება, მომზადება და წარდგენა; ცალკეული ბუღალტრული მუხლების, აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვასა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები; ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ხერხები და მეთოდები; ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელობა საწარმოში მიმდინარე სამეურნეო ოპერაციების თავმოყრის, გაანალიზების და დამუშავების კუთხით; ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა და როლი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების და ამის საფუძველზე სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობა და აუცილებლობა ბუღალტრული ელემენტების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის;
- დანახარჯთა ქცევა და შინაარსი, დანახარჯების აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდები, წარმოების მოცულობის, დანახარჯების და მოგების დამოკიდებულების ანალიზი, პროდუქციის თვითღირებულების კალკულაცია ზღვრული და სრული დანახარჯებით, ბიუჯეტირების პრინციპი და სხვადასხვა ტიპის ბიუჯეტის მომზადება, რელევანტური დანახარჯების მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ინვესტიციების ანალიზი ფულის დროითი ღირებულების გამოყენებით, მენეჯერული აღრიცხვის როლი საწარმოს ეფექტინად მართვასა და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დანახარჯთა კონტროლის აუცილებლობა მოგების მაქსიმიზაციის ხელისშეწყობის მიზნით, დანახარჯების აღრიცხვის საჭირო მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესის სპეციფიკიდან და საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, ფულის დროითი ღირებულების მნიშვნელობა საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასებისას;
- ფინანსური ინსტიტუტები, მათი არსი, პროდუქტები და გადანაწილება მსოფლიო ბაზარზე. ფინანსური ბაზრები, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები. ბანკების კლასიფიკაცია

და სახეობები, საბანკო საქმის მართვის პრინციპები, კომერციული ბანკების ოპერაციები და მათი დანიშნულება, ანგარიშსწორების ფორმები და მათი გამოყენების მეთოდები, კრედიტი, საკრედიტო სისტემა და დაკრედიტების პროცესი, საბანკო პროდუქტები, კონტროლის მექანიზმები, ანგარიშგების ფორმები და რისკების შეფასების მეთოდები;

- კორპორაციათა ფინანსების როლი, დროში ფულის ღირებულების აღწერა / დადგენა, ინვესტიციების დღევანდელი და სამომავლო ღირებულების გასაზღვრა, ობლიგაციების ტიპები, კლასიფიცირება და შეფასება, აქციების ტიპების კლასიფიცირება და შეფასება, რისკის, შემოსავლიანობისა და ალტერნატიული დანახარჯების შეფასება, კაპიტალის სტრუქტურის წარმოდგენა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მართვის პრინციპები, კორპორაციის რესტრუქტურის ფინანსური ასპექტები;
- გლობალური ბიზნეს გარემო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების ფუნქციონირების თავისებურებები;
- საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციების სტრატეგიები და შესაძლო სტრუქტურები, იმპორტ-ექსპორტის მახასიათებლები, საინვესტიციო გარემო და მსოფლიო მონეტარული სისტემა;
- საერთაშორისო მარკეტინგის თეორიები და პრინციპები, საერთაშორისო გარემოს შეფასებისათვის აუცილებელი თეორიები და პრინციპები, ორგანიზაციის საერთაშორისო მარკეტინგული აქტივობისათვის აქტუალური თეორიები და პრინციპები;
- ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები, სრულყოფილი და არასრულყოფილი ბაზრების ფუნქციონირება, ურთიერთგაცვლის და ვაჭრობის სარგებელი, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებები, ბაზრის სტრუქტურა: მოთხოვნა-მიწოდება, წონასწორობა, ფასები, სასაქონლო, სამუშაო ძალის და კაპიტალის ბაზრების განსაზღვრება;
- მაკროეკონომიკის ძირითადი ცნებების არსი, ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრებები, სახელმწიფოს (მთავრობის) ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ფორმების – ინფლაციისა და უმუშევრობის არსი;
- ძირითადი სპეციალობისათვის აუცილებელი საბაზისო მათემატიკური აპარატი. კერძოდ, ფუნქციები და მათი ტიპები, გრაფიკები და მათი თვისებები, ზღვარი, წარმოებული და ინტეგრალი, მათი შინაარსი, გამოყენების მაგალითები, წრფივი ალგებრის მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა რეალური შინაარსის ამოცანების დასმა და გამოკვლევა. მონაცემთა ტიპები და ინფორმაციის წყაროები, სტატისტიკის საბაზო ცნებები და კონცეფციები, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მეთოდები, ალბათობის საბაზო ცნებები და კონცეფციები, ალბათობის ძირითადი თეორემები.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნესის ადმინისტრირების პრინციპების გამოყენება, როგორცაა:

- დაქვემდებარებული თანამშრომლების ეფექტურად მართვაში მონაწილეობის მიღება, ზემდგომი რგოლებიდან მიღებული დავალებების ეფექტურად შესრულება და/ან შესრულების უზრუნველყოფა, საკუთარი და მასზე დაქვემდებარებული თანამშრომლების დროის ეფექტურად განაწილება;
- ბიზნესის სფეროში წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გაანალიზება და სამართლისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მეთოდის გამოყენებით პრობლემის იდენტიფიცირება;
- სიტუაციის ზოგადი ფსიქოლოგიური ანალიზი და შესაბამისი ემოციური და ქცევითი რეაგირება; საკუთარი პიროვნული მახასიათებლების შეფასება, ძლიერი მხარეების გააცნობიერება და მათი გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში დავალებების ეფექტურად შესრულებისთვის; საკუთარი სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათი გაუმჯობესების გზების დასახვა. საკუთარი თავისა და სხვების ქცევის გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება.
- პერსონალის რეკრუტირების, შერჩევის, ტრენინგების, განვითარების და კომპენსაციის სქემების შექმნის პროცესში მონაწილეობის მიღება;
- ოპერაციების მართვის პროცესის სხვადასხვა ფაქტორებთან მიმართებაში ანალიზი, როგორცაა მწარმოებლურობა, სამუშაოს დაგეგმვა, ხარისხი და სხვა. „ტრასფორმაციის სისტემური მოდელის“ გამოყენება, რომელიც ადგენს კავშირს საწარმოო ფაქტორებს, პროცესს და შედეგებს შორის, ორგანიზაციის საწარმოო რესურსების მართვა, ორგანიზაციისათვის შესაფერისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მოწყობა, მიწოდების და ღირებულებათა ჯაჭვის მართვის პრინციპების გამოყენება, ინვენტარისა და სასაწყობო მარაგების მართვა/ კონტროლი, ხარისხის მართვის მეთოდების გამოყენება ორგანიზაციაში;
- პროექტის ბიზნეს-ანალიზის დოკუმენტის შექმნა, პროექტის სისტემური მოთხოვნების დოკუმენტის შექმნა, პროექტის ხარისხის მართვის/ტესტირებისთვის ცნობილი მეთოდოლოგიის გამოყენება;

- სტრატეგიული გადაწყვეტილებების ალტერნატივების ფორმულირება, შეფასება, ბიზნეს სტრატეგიის შერჩევა და პრაქტიკაში დანერგვის პროცესში მინაწილეობა;
- საერთაშორისო ბიზნესისა და გლობალური ეკონომიკური პროცესების დინამიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები და მულტიკულტურული გარემოს თავისებურებების გათვალისწინება;
- ბიზნეს-გარემოს ანალიზი, მარკეტინგული გადაწყვეტილებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, ინდუსტრიის, კონკურენტებისა და მომხმარებლების ანალიზი, ორგანიზაციის პოზიციონირების სტრატეგიის გაანალიზება, სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობის მიღება, სადისტრიბუციო და საკომუნიკაციო არხების შეფასება;
- მონაწილეობა გაყიდვების პროცესში, როგორც კომპანიის გაყიდვების ორგანიზება-დაგეგმვა-განხორციელება, გაყიდვების პერსონალის დაქირავების, სწავლების, წახალისების და მართვის საკითხების განხილვა., პერსონალური გაყიდვები;
- მომხმარებლის ქცევის შეფასება და მისი გათვალისწინება მარკეტინგული გადაწყვეტილების მიღებაში, მომხმარებელთა ქცევის ჩამოყალიბების პროცესში სტუდენტისთვის ცნობილი მეთოდებით მონაწილეობის მიღება;
- მარკეტინგული კვლევის საფეხურების განსაზღვრა, კვლევის პრობლემის შეფასება და კვლევის მიზნის დასახვა, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბება, მეორადი და პირველადი ინფორმაციის შეგროვება, გამოკითხვის კითხვარების მომზადება, რესპოდენტთა შერჩევის მეთოდოლოგიის და შერჩევის ზომის განსაზღვრა, მოგროვებული ინფორმაციის ანალიზი, შედეგების ანგარიშის და პრეზენტაციის მომზადება;
- საერთაშორისო ბაზრებზე შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შეფასება, მარკეტინგული ტაქტიკის შემუშავება და მორგება კონკრეტული ორგანიზაციისთვის. ამა თუ იმ საერთაშორისო ბაზრისთვის სტრატეგიების კოორდინაცია და სტრატეგიული დაგეგმვა;
- საერთაშორისო საფასო პოლიტიკის, საკომუნიკაციო პოლიტიკის და დისტრიბუციის პოლიტიკის შეფასება და ორგანიზება;
- პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრული გატარებების შესრულება, სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს დარიცხვის პრინციპიდან გამომდინარე მაკორექტირებელი გატარებების შესრულება, კორექტირებული საცდელი ბალანსის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, სააღრიცხვო ციკლის დამასრულებელი ოპერაციების შესრულება, მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა და ინტერპრეტაცია, საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის გააზრება და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების ბუღალტრულად ასახვა-შეფასება, ფინანსური ანგარიშგების გაანალიზება და ინტერპრეტაცია სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის ფინანსური კოეფიციენტების (ლიკვიდობა, საქმიანი აქტივობა, გრძელვადიანი ფინანსური სტაბილრობა, მომგებიანობა, საინვესტიციო უკუგება) გამოყენებით;
- ფინანსური ინსტიტუტების სახეობების ანალიზი; კაპიტალის ბაზრების ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი; საბანკო საქმიანობის ისეთ პროცესებში მონაწილეობა, როგორცაა: საბანკო საქმიანობის შედეგების შეფასება, მიკრო და მაკრო რისკების გამოვლენა და ანალიზი, საკრედიტო რისკების მართვა, სესხების შეფასება, კაპიტალის ეფექტური გამოყენება და ლიკვიდურობის მართვა;
- კორპორაციის მართვის პროცესში წარმოშობილი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გამოვლენა, კორპორაციისათვის დროის მიხედვით ფულის ღირებულების შეფასება, მიმდინარე ღირებულებისა და ალტერნატიული დანახარჯების განსაზღვრა, საინვესტიციო პორტფელისათვის დამახასიათებელი რისკის მართვა, კორპორაციის რესტრუქტურისათვის ფინანსური ბერკეტის მნიშვნელობის გაცნობიერება;
- საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგადი პრობლემების იდენტიფიცირება, პრობლემების შეფასება შესაბამისი მეთოდების და გადაჭრის გზების შერჩევა;
- მაკროეკონომიკის პრინციპების გათვალისწინება ბიზნესის სფეროში საქმიანობისას;
- არსებითი და სავალდებულო ინფორმაციის მოძიება, მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაცია, სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება;
- ლოგიკური კავშირების აგება, მოცემული ჰიპოთეზების გაანალიზება, ლოგიკის მეთოდების გამოყენებით მათი დამუშავება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, ბჭობა-განსჯის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა.

გ) დასკვნის უნარი

- არსებული და მოძიებული ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება, შეფასება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, კრიტიკული აზროვნების მეშვეობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება;
- ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეპირისპირება და შეფასება;
- ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შეფასების, ანალიზის და დასკვნის გამოტანის უნარი;
- პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიკაციის, ანალიზის და გადაჭრისთვის საჭირო დასკვნების გაკეთების უნარი;
- ორგანიზაციის შიგა და გარე ფაქტორების შეფასების და ანალიზის შედეგად ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევის უნარი;
- გაყიდვის ფუნქციის სხვა მარკეტინგულ საქმიანობასთან ჯეროვანი ინტეგრაციის უნარი;
- ფინანსური ანგარიშგებების სათანადო მეთოდებით (ჰორიზონტალური, ტრენდული, დინამიკური, შედარებითი ანალიზი) გაანალიზების, ასევე ფინანსური მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- დასკვნების მომზადება და არგუმენტირება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებების, გაანალიზების, საინვესტიციო პორტფელების შემუშავების პროცესში;
- მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის დამუშავების შედეგად საკუთარი არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- მიკროეკონომიკურ დონეზე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების დასმისა და არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი.

დ) კომუნიკაციის უნარი

იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება, კერძოდ,

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ ელექტრონული ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავება, მონაცემთა ელექტრონული სახით ჩაწერა, დამუშავება და გავრცელება, ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მათ შორის შემდეგი საოფისე კომპიუტერული პროგრამების: Ms Word., Ms PowerPoit., Ms excel;
- პოტენციურ თანამშრომლებთან, ორგანიზაციის სხვადასხვა დონის მენეჯერებთან, არამენეჯერულ პოზიციაზე მყოფ თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, სამუშაო ჯგუფის (გუნდი) წევრებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

ე) სწავლის უნარი

- დავალებების დროში სწორად განაწილება;
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა;
- შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა;
- ცოდნის მუდმივად განახლება.

ვ) ღირებულებები

ბიზნეს საქმიანობაში ეთიკური ნორმების დაცვა, გადაწყვეტილებების მიღებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობების გათვალისწინება, გლობალურ გარემოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და შესაბამისი ღირებულებების გაზიარება. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სასწავლო კომპონენტები

სპეციალობა (ძირითადი)		თავისუფალი კომპონენტები
სასწავლო კურსები	ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტი	
162 ECTS	14 ECTS	64 ECTS
240 ECTS კრედიტი		

სასწავლო კურსები

ბიზნესის საფუძვლები

ბიზნესის საფუძვლები წარმოადგენს შესავალს თანამედროვე ბიზნესის კონცეფციებში, მეთოდებში, სტრუქტურებსა და საქმიანობაში. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ბიზნესის ენა, ცნებები და გარემო. მისცეს საბაზისო ცოდნა ბიზნესის ორგანიზებისა და წარმართვისთვის საჭირო მიმართულებებში (ბუღალტრიკა, ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი). კურსის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება შეაფასონ და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები ბიზნესში პრიორიტეტების განსაზღვრის, პრობლემების იდენტიფიცირების და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

ინგლისური ენა

კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს ინგლისური ენა რეალური ურთიერთობების და თანამედროვე საერთაშორისო თემების აუდიტორიაში გადმოტანის საშუალებით. ინგლისური ენის სწავლება მიმდინარეობს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით B2 დონეზე, რომელიც მიზნად ისახავს ჩამოყალიბოს სტუდენტს ის საჭირო უნარ-ჩვევები, რომლითაც ის გაიმდიდრებს ლექსიკურ მარაგს. განუვითარდება ინგლისურ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველებისა და აღქმა-გაგების უნარი, ასევე შეძლებს უცხოელებთან ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის დამყარებას და საკუთარი აზრის თავისუფლად და დამაჯერებლად გადმოცემას.

ლოგიკის საფუძვლები

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს წინადადებათა ლოგიკის, კვანტორების თეორიის, ცნებისა და კატეგორიული სილოგიზმების შესახებ ტრადიციულ მოძღვრებათა ძირითადი დებულებები. ასევე, არგუმენტაციის ანალიზისა და მათი სისწორის (ლოგიკური კორექტულობის) შეფასების მეთოდები.

კალკულუსი

კურსის მიზანია ძირითადი სპეციალობისათვის აუცილებელი საბაზისო მათემატიკური აპარატის შესწავლა. კერძოდ, ფუნქციები და მათი ტიპები, გრაფიკები და მათი თვისებები, ზღვარი, წარმოებული და ინტეგრალი, მათი შინაარსი, გამოყენების მაგალითები და კავშირი რეალურ ამოცანებთან.

საოფისე კომპიუტერული პროგრამები ბიზნესში

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს საოფისე კომპიუტერული პროგრამები, კერძოდ MS Excel, MS Word და MS Power Point Presentation, რაც მათ საშუალებას მიცემს პროგრამები გამოიყენონ ბიზნესის ამოცანების გადასაჭრელად.

მენეჯმენტის საფუძვლები

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტებს თანამედროვე ბიზნესის, ორგანიზაციებისა და მათი მენეჯმენტის შესახებ საბაზისო ცოდნა. გააცნოს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი კონცეფციები, მათი პრაქტიკაში გამოყენების გზები და მაგალითები.

ფსიქოლოგიის საფუძვლები

კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ფსიქოლოგიის საფუძვლები და მისი ძირითადი პრინციპები. გააცნოს მათ ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები, ცხოვრებისეულ და პროფესიულ საქმიანობასთან, ბიზნესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. კურსი ასევე მოიცავს პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხებს, რომლის ცოდნაც სტუდენტებს დაეხმარება საკუთარი თავის შემეცნებაში და

სხვების ქცევის ანალიზში. საშუალებას მისცემს მათ ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და მიზანმიმართულად მართონ ქცევა და ემოციები ჯგუფის და ზოგადად სოციუმის ფარგლებში.

გამოყენებითი წრფივი ალგებრა

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს წრფივი ალგებრის საფუძვლები და ჩამოუყალიბოს მათ წრფივი ალგებრის პრაქტიკული ამოცანების ამოხსნის ჩვევები. კურსის მიზანია აგრეთვე ჩამოუყალიბოს სტუდენტებს წრფივი ალგებრის მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა რეალური შინაარსის ამოცანების დასმის და გამოკვლევის უნარ-ჩვევები.

დარგობრივი ინგლისური ენა

კურსის მიზანია ინგლისური ენის სწავლება ბიზნესის კონტექსტში B2 დონეზე, ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით. დარგობრივი ინგლისურის კურსი მოიცავს ბიზნესის აქტუალურ თემატიკას და მიზნად ისახავს ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნისათვის რელევანტური ენობრივი უნარ-ჩვევების მთელი სპექტრი (ზეპირმეტყველება, მოსმენა, კითხვა, წერა), რომლითაც ისინი გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს და განუვითარდებათ ინგლისურ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველების, აღქმა-გაგების და კორესპონდენციის წარმოების უნარები. ამასთანავე, სტუდენტები გაიღრმავებენ ბიზნესის სპეციფიური ინგლისურის და ტერმინოლოგიის ცოდნას და შეძლებენ დაგროვილი ცოდნის თავისუფლად გამოყენებას ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამუშავების და სტატიის, მოხსენების თუ პრეზენტაციის მომზადების დროს.

მიკროეკონომიკის პრინციპები

კურსი განიხილავს მიკროეკონომიკის საფუძვლებს. კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს თუ როგორ იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს ადამიანები და ფირმები; როგორ ფუნქციონირებენ სრულყოფილი და არასრულყოფილი ბაზრები. აღნიშნული საკითხების შესწავლა სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს განახორციელონ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზი მიკროდონეზე და და მოახდინონ მათი სათანადო ინტერპრეტირება.

მარკეტინგის საფუძვლები

კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს მარკეტინგის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნა და მისი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარი, გააცნოს მარკეტინგული სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების გზები და მარკეტინგული გეგმის შემუშავება-განხორციელების პრინციპები. ასევე, გამოუმუშავოს მცირე და საშუალო სირთულის მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვის და მარკეტინგულ გუნდში, ეფექტიანი მუშაობის უნარი.

ფინანსური აღრიცხვა

კურსის მიზანია გააცნობიერებინოს სტუდენტებს ფინანსური აღრიცხვის როლი და აუცილებლობა საწარმოში მიმდინარე ყოველდღიური ოპერაციების ბუღალტრული დამუშავების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და გაანალიზების საფუძველზე ბიზნესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ფინანსური აღრიცხვის ძირითად დაშვებებს და პრინციპებს, საწარმოში განხორციელებული ოპერაციების დამუშავების ტექნიკას, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და გაანალიზებას შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების საშუალებით.

ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება

კურსი უზრუნველყოფს ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი საკითხების შესწავლას, რომლებიც წარმოიშობა ბიზნესის წარმოების პროცესში, ამ თვალსაზრისით კურსის სწავლებისას განხილული იქნება სამართლისა და ეკონომიკის პრობლემური საკითხები, სამართლის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება, ბიზნესის წარმოების სამართლებრივი მექანიზმები.

მაკროეკონომიკის პრინციპები

კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებები, ჩამოუყალიბოს მათ მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობისა და განხორციელებული პოლიტიკის შეფასების უნარი.

ალბათობის თეორია და სტატისტიკა

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ძირითადი ალბათურ-სტატისტიკური მოდელები და კვლევის მეთოდები, მათი გამოყენება როგორც ბიზნეს-საქმიანობაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ადამიანური რესურსების მართვა

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიდგომები, მათი სპეციფიკაციები გლობალურ გარემოში და გამოუმუშაოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს მომავალ დამქირავებელთან/დამქირავებლებთან და ბიზნეს-პარტნიორებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, რაც გამოიხატება სხვადასხვა ბიზნეს კონტექსტში ბიზნეს კომუნიკაციების ელემენტების გაგებასა და დემონსტრირებაში, წერილობით და ზეპირად მოცემული ბიზნეს ამოცანებისა და მესიჯების შეფასებისა და შესაბამის კონტექსტში ანალიზში, ბიზნეს მესიჯების შესაბამის ფორმად გარდაქმნაში და სამიზნე აუდიტორიამდე მიტანაში, ინფორმაციის დამუშავების და მიწოდების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით პოტენციურ დამქირავებელთან საკუთარი თავის წარდგენის შესაძლებლობებში.

გაყიდვების მართვა და მომხმარებლის ქცევა

კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს გაყიდვების კონცეფცია და ტექნიკა და მომხმარებლის ქცევა. კერძოდ, გაყიდვების ფუნქციის დაგეგმვა და მართვა, გაყიდვების პროგნოზირება და ბიუჯეტი, პროცესის ორგანიზება და სხვა; მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ამ პროცესზე მოქმედი ფაქტორები, როგორცაა: მოტივაცია, პიროვნების თეორიები, აღქმა და სწავლა, სოციალური განწყობის ფორმირება და შეცვლა, სოციალურ-კულტურულ გარემო. კურსში აქცენტი გაკეთებულია ისეთი საკითხების შესწავლაზე, რომელიც უზრუნველყოფს გაყიდვების შედეგების მაქსიმიზაციას მომხმარებლის ქცევის გათვალისწინებით.

მენეჯერული აღრიცხვა

კურსის მიზანია გააცნობიერებინოს სტუდენტებს მენეჯერული აღრიცხვის როლი და აუცილებლობა საწარმოს მმართველი რგოლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების და კონტროლის ეტაპებზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მენეჯერული აღრიცხვის ყველა იმ ძირითად პრინციპს, რაც უზრუნველყოფს საწარმოს ეფექტიან მუშაობას და ვლინდება დანახარჯების მინიმიზაციის ხარჯზე მოგების ზრდის ხელისშეწყობაში.

პროექტების მართვა

კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს პროექტის მართვისათვის საჭირო ძირითადი ცნებებისა და ინსტრუმენტების ცოდნა და გამოუმუშავოს საპროექტო ამოცანების გადაწყვეტის საბაზისო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პროექტის დაგეგმვისა და მართვის პროცესებს, პროექტის მოთხოვნების შეგროვების და პროექტის ხარისხის კონტროლის/ტესტირების მეთოდოლოგიას.

ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე

კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს მსოფლიო საფინანსო სექტორების (საინვესტიციო ფონდების, ფასიანი ქაღალდების ბირჟების, საბანკო სექტორის, ცენტრალური ბანკების და ე.წ. fintech კომპანიების) საქმიანობის შინაარსი და თავისებურებანი. ასევე, მისცეს მას საბაზისო ცოდნა საბანკო საქმიანობის შესახებ და გააცნოს სფეროს ძირითადი პრინციპები და თავისებურებები ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით. კერძოდ: საბანკო ოპერაციები, მათი განხორციელების მეთოდები და მოსალოდნელი რისკები, საბანკო პროდუქტები და მათი მახასიათებლები, შიდა და გარე აუდიტი, კრედიტი და დაკრედიტების პროცესი და სხვა.

კორპორაციული ფინანსები

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს კორპორაციული ფინანსების კონცეფციები, რათა მათ შეძლონ კორპორაციათა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, დაგეგმვისა და შედეგების პროგნოზირების მნიშვნელობის გაცნობიერება და შეძლონ საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკაში. რეალური კომპანიების კვლევა და შედარებითი ანალიზის ჩატარება. სტუდენტები გაეცნობიან ისეთ საკითხებს, როგორცაა კაპიტალის ფორმირების, რეალიზაციისა და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრისა და კორპორაციის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ასევე, კორპორაციის კაპიტალის მართვა, კორპორაციის პროექტების ფინანსური და საინვესტიციო გადაწყვეტილებების, კაპიტალური დაბანდების ბიუჯეტის განსაზღვრა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი საფინანსო ინსტრუმენტების შესწავლა.

მარკეტინგული კვლევა

ამ კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტებს გააცნოს მარკეტინგული კვლევის წარმოების აუცილებლობა და საჭირო საფეხურები, კვლევის ობიექტები, ტიპები და მეთოდები. გამოუმუშავოს ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის უნარი.

ოპერაციათა მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს და მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ოპერაციათა მენეჯმენტის შესახებ. კერძოდ, თუ როგორ არის საწარმოო, სერვისის და სხვადასხვა სისტემის შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებული ისე რომ ორგანიზაციამ შეძლოს გამართულად და წარმატებით ფუნქციონირება. ასევე სტუდენტები გაეცნობიან და შეისწავლიან ოპერაციული მენეჯმენტის მნიშვნელობას და როლს ორგანიზაციული მიზნების მიღწევის პროცესში. ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე როგორცაა: საოპერაციო სტრატეგია, პროცესის და პროდუქტის დიზაინი, ხარისხის კონტროლი, მიწოდების ჯაჭვი, საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა / ანალიზი.

საერთაშორისო მარკეტინგი

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მარკეტინგის წარმოების თავისებურებები საერთაშორისო ბაზრებზე, განიხილოს სპეციფიკური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და მარკეტინგული ოპერაციების წარმართვასთან საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტებს თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესისა და მისი მენეჯმენტის თავისებურებების შესახებ ფუნდამენტური ცოდნა, გააცნოს მათ საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების ასპექტები, გლობალური და რეგიონალური ინტეგრირების, კულტურული, ეკონომიკური და სხვა სტრატეგიული ფაქტორები რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საერთაშორისო ბიზნესის წარმოებაზე.

სტრატეგიული მენეჯმენტი

კურსი მიზნად ისახავს ორგანიზაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების ეფექტურად და ეფექტიანად მიღწევის სტრატეგიების და მათი მენეჯმენტის შესწავლა-გაანალიზებას.

ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტი

ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტი მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის ინტეგრაციას, გაფართოვებას და გაღრმავებას კონკრეტული კომპანიის ბაზაზე არსებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების და შემდგომი გადაწყვეტის მეშვეობით.

ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტის განსახორციელებლად დაიშვება სტუდენტი, რომელსაც დაგროვებული აქვს ძირითადი სპეციალობის 162 ECTS კრედიტი.

ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტის წარმატებით დასრულებისას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტს უნდა შეეძლოს ბიზნეს პრობლემის კვლევა: იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავება, მათი შეფასება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; შერჩეული სტრატეგიის განხორციელების გეგმის შემუშავება; გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტის შესაფასების დროს გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- პროექტის რელევანტურობა და პრაქტიკული სარგებელი;
- პროექტის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა;
- გამოყენებული მეთოდების შეფასება;
- ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და გამოყენების ხარისხი;
- შედეგების ადექვატურობა;
- დასკვნების ფორმულირება;
- ტექსტის ორგანიზება და სტრუქტურული განლაგება;
- კომუნიკაციის უნარები.

თავისუფალი კომპონენტები

პროგრამით შეთავაზებული თავისუფალი კომპონენტი უზრუნველყოფს ცოდნის გაღრმავებას და დამატებითი დარგობრივი ან/და ზოგადი უნარების გამომუშავებას. სტუდენტის არჩევანიდან გამომდინარე, მან შეიძლება შეიძინოს დამატებითი ცოდნა და უნარები მსოფლიო ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აუდიტის, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული კუთხით.

გლობალური პორტფელის მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს პორტფელის მართვის სრული ციკლის თეორიული ცოდნა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების თუ ფულის მაგენერირებელი აქტივების იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასების, მართვის და კონტროლის ეტაპებს მთლიანი პორტფელის დონეზე.

ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება

კურსის მიზანია სტუდენტებს გაურღმავოს ცოდნა ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებში, შესაძლებლობა მისცეს მათ გაანალიზონ და შეაფასონ სტანდარტების ძლიერი და სუსტი მხარეები, სტანდარტიზაციით გამოწვეული უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის დროს. ასევე გამოუმუშავოს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირების უნარი.

ინოვაციების მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ინოვაცია (პროდუქტი და პროცესი), ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციის თავისებურებები და სტრატეგიები, ინოვაციური პროცესების დაგეგმვა და მართვა ორგანიზაციაში.

კარიერის დაგეგმვის სტრატეგიები

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს კარიერის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები, როგორცაა თვითშეფასება, კარიერის სხვადასხვა მიმართულების კვლევა, სწორი არჩევანის გაკეთება. მისცეს მას პრაქტიკული ცოდნა ეფექტური რეზიუმეს და სამოტივაციო წერილების მოსამზადებლად, ასევე იყოს მზად ინტერვიუების პროცესისათვის.

კონფლიქტები და მოლაპარაკებების ტექნიკა

კურსის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს კონფლიქტების მართვის და მოლაპარაკებების წარმოებისათვის აუცილებელი უნარ ჩვევები, როგორც სტრატეგიულ ასევე ტაქტიკურ დონეზე. აქცენტი გაკეთებულია პროცესის ეფექტურად და სრულყოფილად დაგეგმისათვის საჭირო საკითხებზე.

შიდა აუდიტი - მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა

კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე შიდა აუდიტის კონცეფციის ფუნდამენტური ცოდნა და მასთან დაკავშირებული უნარ ჩვევები, შეასწავლოს მათ შიდა აუდიტის, როგორც მარწმუნებელი ასევე საკონსულტაციო საქმიანობის, განხორციელების მეთოდები და პრაქტიკული მაგალითები.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა

სასწავლო კურსის მიზანია ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას სტუდენტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რაობის, მისი ჩამოყალიბების ისტორიისა და წინაპირობების, კონკრეტული კომპანიისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის, აგრეთვე ამ სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებისა და ტენდენციების შესახებ; გააცნოს სტუდენტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ინსტრუმენტები, აგრეთვე კონკრეტული ბიზნეს კომპანიის საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვისა და განხორციელების მექანიზმები.

ლიდერობა და მენეჯერული უნარების განვითარება

კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტის მენეჯერული და ლიდერული უნარების განვითარება, რათა მათ შეძლონ თავიანთ სამუშაო ორგანიზაციებში დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელება.

მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM)

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტებს მომხმარებელთან ურთიერთობების მენეჯმენტის ფუნდამენტური თეორიული ცოდნა და განუვითაროს მათ CRM- ის პრაქტიკაში განხორციელების უნარები.

სტრატეგიული მარკეტინგი

სტრატეგიული მარკეტინგის კურსის მიზანია მარკეტინგული კონცეფციების ინტეგრირება. ეს კურსი მოიცავს მარკეტინგული სტრატეგიის განვითარების სრულყოფილი საშუალებების შესწავლას. სტუდენტებს საშუალება ექნებათ გამოიყენონ მარკეტინგული პრინციპების ცოდნა ძირითადი მარკეტინგული პრობლემების იდენტიფიკაციის, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის მიზნით. კურსი დაფუძნებულია რეალური კომპანიების რეალურ ბიზნეს სიტუაციებზე, რომელთა შესწავლისას სტუდენტები განიხილავენ კომპანიაში არსებულ მარკეტინგულ სიტუაციას და იმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია მოცემული სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ.

საგადასახადო სამართალი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს ბიზნეს საქმიანობისთვის აუცილებელი საგადასახადო სამართლის მარეგულირებელ ნორმების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

სოციოლოგიის საფუძვლები

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს საშუალება შეიძინონ ცოდნა სოციოლოგიის მეცნიერების თეორიული საფუძვლების, ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების და მათი ფუნქციონირების კანონზომიერების შესახებ; გაუჩინოს მათ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების და ინდივიდთა შორის ურთიერთობების შეფასებისა და ანალიზის უნარი; აუხსნას სოციოლოგიური კვლევის დანიშნულება და მნიშვნელოვნება.

კორპორაციული მართვა

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს კორპორაციული მართვის ძირითადი საფუძვლები რათა მათ ჰქონდეთ სრული წარმოდგენა იმის შესახებ თუ როგორ მუშაობს კორპორაციული მართვის სისტემა, რა პრაქტიკული ინსტრუმენტები ესაჭიროებათ ორგანიზაციებისა და კორპორაციების მმართველობით ორგანოებს (სააქციო საზოგადოების დირექტორებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, აქციონერებს, და ა.შ) ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობისას და ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სტუდენტები გაეცნობიან ისეთ საკითხებს, როგორცაა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები, კორპორაციული მართვის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები, მითითებები აღმასრულებელი პირებისა და საბჭოს წევრებისათვის საწარმოს მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესრულების შესახებ. ასევე კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევები რეალური კომპანიების კვლევის, შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფია

მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიის სასწავლო კურსის მიზანია, მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ანალიზის საფუძველზე, სტუდენტს შეასწავლოს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებები და მსოფლიოს რეგიონებისა თუ ქვეყნების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები; გააცნოს მსოფლიოში მიმდინარე და მოსალოდნელი დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები, ასევე მსოფლიო მეურნეობის ძირითადი მახასიათებლები. შესასწავლი საგნის მეშვეობით შესაძლებელია, თვალსაჩინოდ წარმოჩინდეს პრობლემები და მათი რეგიონალური სახესხვაობანი, რომლებიც უკავშირდება ადამიანის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეკოლოგიურ საქმიანობას ლოკალურ, რეგიონულ და ასევე გლობალურ დონეზე.

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს ჩამოუყალიბოს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი, მისცეს ზოგადი წარმოდგენა მსოფლიო ისტორიის ძირითად ეტაპებზე და საკვანძო საკითხებზე. წინამდებარე კურსის მიზანია, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და პროცესების კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა ისტორიულ ჭრილში.

კულტურათა დიალოგი - შუმერი და ქართველური სამყარო

სასწავლო კურსის მიზანია შესძინოს სტუდენტს ცოდნა პირველი, შუმერული ცივილიზაციის შესახებ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს თანამედროვეობას, ჩამოუყალიბოს მას პირველი სახელმწიფოს შექმნის სრული სურათი მისთვის დამახასიათებელი თვისებებით: მეფის (პატესის) ინსტიტუტი, საზოგადოების სოციალურ ფენებად სტრატეფიკაცია, ვაჭრობა, კანონმდებლობა, ხელოსნობა, რელიგიური ინსტიტუტები და ჯარი, მისცეს ცოდნა კაცობრიობის კულტურული წინსვლის ნელი, მაგრამ შეუქცევადი პროცესის შესახებ, რომელიც სათავეს იღებს შუმერთა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებიდან: მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა, არქიტექტურა, განათლების სისტემა პირველი სკოლებით, მდიდარი ლიტერატურა განსხვავებული ჟანრებით, პირველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები და, რაც მთავარია, პირველი დამწერლობა, განუვითაროს სტუდენტს ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები ძველი და

დღეს მიმდინარე პროცესების სწორი ანალიზისა და სწორი დასკვნების გამოტანის საფუძველზე, გააცნოს მას პირველ, შუემერულ ცივილიზაციასა და ქართველურ სამყაროს შორის არსებული მნიშვნელოვანი ლინგვისტური და კულტუროლოგიური მსგავსებანი, რაც ხელს შეუწყობს სწორი ეთნოფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას, მიეხმარება საკუთარი თავისა და ეთნოსის ადგილისა და როლის განსაზღვრაში თანამედროვე სამყაროში.

სასწავლო გეგმა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა ოთხი წელი და მოიცავს 240 ECTS კრედიტს.

1 ECTS= 25 საათს. აკადემიური წელი იყოფა ორ სემესტრად. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა.

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1.1 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 1.1.1 საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად;
- 1.1.2 საბაკალავრო პროგრამაზე პირი ჩაირიცხება მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაცვით;
- 1.1.3 ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში, აბიტურიენტი შესაბამის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - დ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);
 - ე) ფოტოსურათი (3X4);
 - ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში ცნობა დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ.
- 1.1.4 საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება რექტორის ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი იმ აბიტურიენტთა სიის საფუძველზე, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ მოიპოვეს სწავლის უფლება. სტუდენტთა სტატუსის მინიჭების შემდეგ დგება სტუდენტთა რეიტინგი ერთიანი ეროვნული გამოცდების საკონკურსო ქულების გათვალისწინებით;
- 1.1.5 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2 სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 1.2.1 სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე, რაც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდებს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად;
- 1.2.2 სამაგისტრო პროგრამაზე პირი ჩაირიცხება მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაცვით;
- 1.2.3 სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, წინამდებარე წესის დაცვით, ჩარიცხვისთვის მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა – სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სამაგისტრო პროგრამის საფუძველზე განსაზღვრული ტესტის შესაბამისი ტიპი, გადალახოს დაწესებულების მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის შესაბამისი ტესტის ნაწილისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ასეთის არარსებობისას გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
- 1.2.4 სასწავლო უნივერსიტეტი მაგისტრანტობის კანდიდატთა სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აწესებს შემდეგ გამოცდებს სპეციალობაში:
 - ა) წერიტი გამოცდა;
 - ბ) ინტერვიუება. ინტერვიუებას საერთო სამაგისტრო გამოცდის ქულაში კოეფიციენტი არ ენიჭება.
- 1.2.5 სპეციალობის გამოცდების მიზანია დაადგინოს მაგისტრანტობის კანდიდატის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სპეციალობაში, რათა მან წარმატებით შეძლოს შეთავაზებული სამაგისტრო პროგრამის დამლევას;

- 1.2.6 შიდასაუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდებზე დაშვების მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა;
- 1.2.7 მაგისტრანტობის კანდიდატმა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დასადასტურებლად და სპეციალობის გამოცდაზე დაშვების პირობის დასაკმაყოფილებლად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სერტიფიკატებიდან ერთ-ერთი:
- ა) TOEFL (არანაკლებ 72 ქულა);
 - ბ) IELTS (არანაკლებ 5.5);
 - გ) FCE (B2 დონე);
- 1.2.8 წინამდებარე წესის 1.2.7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატს ეძლევა უფლება ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა სასწავლო უნივერსიტეტში.
- 1.2.9 რექტორის ბრძანებით დგინდება:
- ა) უცხო ენაში ტესტირებისათვის და სპეციალობის წერიითი გამოდისთვის რეგისტრაციის ვადები. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს რეგისტრაციის თაობაზე ბრძანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;
 - ბ) უცხო ენაში ტესტირების თარიღი;
 - გ) შიდასაუნივერსიტეტო სპეციალობის წერიითი გამოცდისა და ინტერვიუების თარიღები;
 - დ) ინტერვიუებისთვის საგამოცდო კომისიის შემადგენლობა;
 - ე) ინტერვიუების თემები და კრიტერიუმები;
 - ვ) ინგლისური ენისა და სპეციალობის წერიითი გამოცდების ფორმატი, კომპონენტები, თითოეული კომპონენტის მაქსიმალური ქულა და ტესტირების ხანგრძლივობა;
- 1.2.10 გარდა 1.2.7 პუნქტით გათალისწინებული შემთხვევისა, ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე დადასტურებული იქნება თუ მაგისტრანტობის კანდიდატი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ინგლისური ენის გამოცდაში მიიღებს 72 ქულას და მეტს;
- 1.2.11 სპეციალობის გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატი დაიშვება თუ ის აკმაყოფილებს 1.2.7 ან 1.2.10 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს;
- 1.2.12 სპეციალობის წერიითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად თუ სტუდენტი მიიღებს მაქსიმალური ქულის 51% ან მეტს;
- 1.2.13 სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი გადის ინტერვიუების ეტაპს;
- 1.2.14 ინტერვიუებაზე მაგისტრანტობის კანდიდატი დაიშვება თუ ის აკმაყოფილებს 1.2.13 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნას;
- 1.2.15 ინტერვიუების ეტაპს მაგისტრანტობის კანდიდატი გადის საგამოცდო კომისიის წინაშე, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული თემებისა და კრიტერიუმების მიხედვით;
- 1.2.16 საგამოცდო კომისია იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრანტობის კანდიდატის სამაგისტრო პროგრამაზე (მაგისტრატურაში) ჩასარიცხად წარდგენის შესახებ;
- 1.2.17 ინტერვიუების ეტაპის შემდეგ დგება მაგისტრანტობის კანდიდატების რეიტინგული სია საერთო სამაგისტრო გამოცდის, შიდასაუნივერსიტეტო სპეციალობის წერიითი გამოცდის შედეგებისა და მე-3 პუნქტით დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით;
- 1.2.18 სპეციალობის გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში, მაგისტრანტობის კანდიდატი შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
 - ბ) კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი/დიპლომის ასლი;
 - გ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);
 - დ) ფოტოსურათი (3X4);
 - ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში ცნობა დიპლომის ნამდვილობის შესახებ;
- 1.2.19 სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება რექტორის ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე;
- 1.2.20 სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3 ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 1.3.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსი მიენიჭება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დასაშვებია:
- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - გ¹) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 1.3.2 საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დასაშვებია:
- ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
 - ბ¹) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
 - გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ პირველი პუნქტით დადგენილი წესით.
- 1.3.3. სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი (ჩარიცხვის კანდიდატი) განცხადებით მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტს, რასაც თან უნდა ერთვოდეს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია ქართულ ენაზე თარგმნილი და დამოწმებული ნოტარიულად;
- 1.3.4. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ჩარიცხვის კანდიდატს მისი საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობა/აღიარება, ლეგალიზაცია ან/და აპოსტილით დამოწმება;
- 1.3.5. ჩარიცხვის კანდიდატის მიერ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის ან/და სკოლის საბჭოს მიერ;
- 1.3.6. ინფორმაცია კრედიტების აღიარების თაობაზე ეცნობება ჩარიცხვის კანდიდატს კრედიტების აღიარების დოკუმენტის სახით;
- 1.3.7. საბუთების განხილვისა და ჩარიცხვის კანდიდატის მიერ დადასტურებული კრედიტების აღიარების დოკუმენტის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) საფუძველზე ჩარიცხვის კანდიდატი გადის გასაუბრებას სკოლის საბჭოს/რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე;

- 1.3.8. გასაუბრების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება მისი სასწავლებელში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და სასწავლო უნივერსიტეტი გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად;
- 1.3.9. სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება რექტორის ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

1.4 სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 1.4.1 სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 1.4.2 მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი;
- 1.4.3 მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელიც არის დაწესებულების სტუდენტი, მაგრამ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
- 1.4.4 მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- 1.4.5 სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის საფუძველია გასაუბრება/ტესტირება/გამოცდა/გამოცდები;
- 1.4.6 მობილობით სტუდენტთა მიღება ცხადდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ბრძანებით დგინდება:
- ა) საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი;
 - ბ) მობილობისთვის ვაკანტური ადგილების რაოდენობა;
 - გ) მობილობისთვის განაცხადების რეგისტრაციისა და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები;
 - დ) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მობილობის საფუძველი (გასაუბრება/ტესტირება/გამოცდა/გამოცდები) და ჩატარების ვადები;
 - ე) ტესტის/გამოცდის ფორმატი, მისი კომპონენტები, თითოეული კომპონენტის მაქსიმალური ქულა და ტესტირების ხანგრძლივობა;
 - ვ) ტესტირება/გამოცდა/გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- 1.4.7 ტესტირება/გამოცდა/გამოცდები ჩაითვლება ჩაბარებულად თუ სტუდენტი გადალახავს რექტორის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს;
- 1.4.8 მობილობისთვის სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- ა) პირადი განცხადება;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - დ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);
 - ე) ფოტოსურათი (3X4);
 - ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში ცნობა დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ;
 - ზ) აკადემიური მოსწრების ბარათი/ნიშნების ფურცელი;
 - თ) ცნობა სასწავლებლიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, შესაბამისი ბრძანებების მითითებით;
 - ი) სტუდენტის ჩარიცხვის/სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის/შიდა მობილობის ბრძანებიდან ამონაწერი, თუ აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ცნობაში;
 - კ) სასწავლო კურსების მოკლე აღწერები/სილაბუსები მათი წარმოდგენის აუცილებლობის შემთხვევაში.
- 1.4.9 მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვა და სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მობილობის კომისიის ან/და სკოლის საბჭოს მიერ;

- 1.4.10 აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 1.4.11 მობილობის კომისიის ან/და სკოლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვისა და განათლების აღიარების თაობაზე ეცნობება სტუდენტს კრედიტების აღიარების დოკუმენტის სახით;
- 1.4.12 სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება, სტუდენტის მიერ დადასტურებული კრედიტების აღიარების დოკუმენტის და სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით;
- 1.4.13 მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და აღდგენა

2.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 2.1.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - ბ) ფინანსური დავალიანება;
 - გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - დ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი ან/და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
 - ე) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- 2.1.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 2.1.3 სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით;
- 2.1.4 სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, სასწავლო უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

2.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 2.2.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის დასრულება;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - დ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი დამატებითი სემესტრების/ტრიმესტრების განმავლობაში;
 - ე) ეთიკის ნორმების დარღვევა;
 - ვ) გარდაცვალება;
 - ზ) მობილობის წესით სხვა სასწავლებელში გადასვლა.
- 2.2.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით;

- 2.2.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებებისგან;
- 2.2.4 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 2.3.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანებაში მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტუდენტს ენიჭება აქტიური სტუდენტის სტატუსი წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის არარსებობის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
- 2.3.2 სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლების სემესტრი/ტრიმესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით;
- 2.3.3 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის სტატუსი შეჩერებულია 2.1.1 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე, სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ აკადემიური კალენდრით დადგენილი სემესტრის/ტრიმესტრის მეცადინეობების 50%-ზე ნაკლები რაოდენობის გაცდენის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სტუდენტის მიერ გაცდენილი მეცადინეობები აღდგენას არ ექვემდებარება;
- 2.3.4 სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტის სასწავლო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით დასაშვებია მხოლოდ იმ სასწავლო კურსების შეფასებების გამოყენება, რომლებშიც სტუდენტს შესრულებული ჰქონდა კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და იყო ფიქსირებული ჰქონდა კურსის საბოლოო შეფასება;
- 2.3.5 იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სტუდენტი სწავლობდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში შეიცვალა ან გაუქმდა, სტუდენტთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიღევად რეჟიმში ან მობილობის პრინციპით პირის ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ პროგრამაზე გადაყვანას, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც სტუდენტი სწავლობდა.

3. აკადემიური რეგულაციები

- 3.1 სასწავლო უნივერსიტეტში მეცადინეობებზე დასწრება სავალდებულოა;
- 3.2 სემესტრის/ტრიმესტრის განმავლობაში კონკრეტულ სასწავლო კურსზე სილაბუსით გაწერილი საკონტაქტო საათების 50% და მეტის ნებისმიერი მიზეზით (საპატიო, არასაპატიო) გაცდენა გამოიწვევს სტუდენტის მიმდინარე სასწავლო კურსიდან მოხსნას და მან საგანი უნდა შეისწავლოს ახლიდან;
- 3.3 სტუდენტის მიერ ლექციის გაცდენა ჩათვლება საპატიოდ მხოლოდ:
 - ა) ავადმყოფობის გამო;
 - ბ) სამსახურებრივი მივლინების გამო;
 - გ) ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის გარდაცვალების გამო;
- 3.4 სტუდენტი ვალდებულია საპატიო გაცდენის მიზეზი შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას პირველსავე შესაძლო დროს;
- 3.5 სტუდენტის მიერ გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის საკითხს განიხილავს სკოლის ადმინისტრაცია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რასაც მე-3.3 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების შემთხვევაში თან უნდა ერთვოდეს 3.5¹ და 3.5² პუნქტებით დადგენილი დოკუმენტაცია;
- 3.5¹ სტუდენტის მიერ წინამდებარე წესის 3.3 პუნქტის ა) ქვეპუნქტით დადგენილი მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტმა წერილობით განაცხადს თან უნდა დაურთოს სრულად შევსებული (უნდა შეივსოს ყველა პუნქტი) „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა № IV-100/ა“ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- 3.5² სტუდენტის მიერ წინამდებარე წესის 3.3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტმა წერილობით განაცხადს თან უნდა დაურთოს ცნობა მივლინების შესახებ და მივლინების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია;
- 3.5³ სტუდენტმა, მის მიერ გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, უნივერსიტეტში გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში;
- 3.6 საპატიოდ გაცდენილი შეფასების კომპონენტების აღდგენის თარიღი დგინდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ;
- 3.7 სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის, უნივერსიტეტში დანერგილია მოდულარული, ობიექტზე ორიენტირებული დინამიური სასწავლო სისტემა, ე.წ. Moodle;
- 3.8 Moodle სისტემა წარმოადგენს სასწავლო კურსის პედაგოგს, სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის საკომუნიკაციო, ოფიციალურ სისტემას. ადმინისტრაცია და სასწავლო კურსის პედაგოგი არ არის ვალდებული დამატებით მიაწოდოს სტუდენტს იგივე ინფორმაცია;
- 3.9 სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს Moodle-ზე განთავსებული ინფორმაცია, მასალები, დავალებები, ნიშნების ფურცელი და ა.შ;
- 3.10 სტუდენტი ვალდებულია მკაცრად დაიცვას სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი და სასწავლო კურსის პედაგოგის მიერ სისტემა Moodle-ზე განთავსებული დავალების ჩაბარებისთვის დაწესებული ვადები;

- 3.11 სასწავლო კურსის პედაგოგს უფლება აქვს დაგვიანებით მიიღოს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები არაუგვიანეს სილაბუსით გათვალისწინებული დასკვნითი გამოცდის თარიღამდე ერთი კვირით ადრე;
- 3.12 3.11 პუნქტით განსაზღვრულ დაგვიანებით შესრულებულ დავალებაში სტუდენტს უფორმდება დავალებაში მიღებული ქულის 51%;
- 3.13 შუალედური (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და დასკვნითი გამოცდები რეგულირდება „გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესით“. ამ წესის დაცვა სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
- 3.14 დასკვნითი გამოცდის განმეორებით ჩაბარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადებში;
- 3.15 სტუდენტის სურვილით სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;
- 3.16 სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა რეიტინგი დგინდება სემესტრულად/ტრიმესტრულად;
- 3.17 სტუდენტი მონაწილეობას იღებს სემესტრულ/ტრიმესტრულ რეიტინგში თუ ის მიმდინარე სემესტრში/ტრიმესტრში შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამაში დამტკიცებული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სასწავლო კურსს;
- 3.17¹ სტუდენტს, 3.17 პუნქტით დადგენილი პირობებისგან განსვავებული პირობით სემესტრულ/ტრიმესტრულ რეიტინგში მონაწილეობის მიღება შეუძლია მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების გამო მას გავლი აქვს ახალი სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის სასწავლო კურსი/კურსები;
 - ბ) დასკვნით გამოცდას ვერ ესწრება სილაბუსით დადგენილ ვადაში, 3.3 პუნქტით დადგენილი საპატიო მიზეზების გამო;
- 3.17² 3.17¹ პუნქტის ა) ქვეპუნქტით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტის სარეიტინგო ქულა განისაზღვრება მიმდინარე და სწავლების წინა პერიოდში მიღებული იმ სასწავლო კურსების შეფასებების მიხედვით, რაც დადგენილია ახალი სასწავლო გეგმით მიმდინარე სემესტრში/ტრიმესტრში;
- 3.18 სემესტრული/ტრიმესტრული რეიტინგი განისაზღვრება სემესტრის/ტრიმესტრის სასწავლო კურსებში მიღებული პროცენტული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით. რეიტინგი განისაზღვრება აკადემიური კალენდრით დადგენილ ძირითად ვადებში მიღებული შეფასებებით და მასში არ მონაწილეობს დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე მიღებული ქულები;

4. ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სწავლის საფასური

- 4.1 ადმინისტრაციული რეგისტრაცია
 - 4.1.1 სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს მიმდინარე სემესტრული/ტრიმესტრული ხელშეკრულების გაფორმებას, რითიც გამოხატავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში;
 - 4.1.2 ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

- 4.1.3 ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუფლელობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი;
- 4.1.4 სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილ მეორე ლექციამდე მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციაში ცვლილების შეტანა (აღნიშნულ სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გაუქმება) და გადახდილი თანხის უკან მიღება. სხვა შემთხვევაში იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში/ტრიმესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;

4.2 სწავლების საფასური

- 4.2.1 საგანმანათლებლო პროგრამის და შესაბამისად 1 ECTS კრედიტის ღირებულება განსაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
- 4.2.2 სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად/ტრიმესტრულად სემესტრის/ტრიმესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში ან/და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული გრაფიკის თანახმად;
- 4.2.2¹ სტუდენტს, რომელიც 4.2.2 პუნქტში მითითებულ ვადებში არ დაფარავს ფინანსურ დავალიანებას დაელოკება სისტემა MOODLE და დამატებით ეძლევა ერთკვირიანი ვადა აღნიშნული დავალიანების დასაფარად, რის შემდეგაც უჩერდება სტუდენტის სტატუსი;
- 4.2.2² სისტემა MOODLE–ის დაბლოკვის შემთხვევაში, დაბლოკვის მოხსნის შემდეგ სტუდენტს არ უფორმდება სისტემის დაბლოკვის პერიოდში მიღებული შეფასებები;
- 4.2.3 სემესტრული/ტრიმესტრული გადასახადი დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულების თანაფარდობით სემესტრების/ტრიმესტრების რაოდენობასთან;
- 4.2.4 წინამდებარე დოკუმენტის 4.2.3 პუნქტით განსაზღვრული სემესტრული/ტრიმესტრული გადასახადი მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით დადგენილი სემესტრების/ტრიმესტრების განმავლობაში. დამატებითი სემესტრით/ტრიმესტრებით სარგებლობის შემთხვევაში გადასახადი ექვემდებარება ცვლილებას სასწავლო უნივერსიტეტში იმ პერიოდისათვის არსებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- 4.2.5 სტუდენტის სწავლის საფასურის ან მისი ნაწილის ალტერნატიული წყაროდან (სახელმწიფო გრანტი (სამაგისტრო, საბაკალავრო), სპონსორის მიერ დაფინანსება და სხვა) დაფინანსების შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისაგან, სწავლის საფასურის იმ ოდენობით, რა ოდენობის თანხითაც იქნება სტუდენტის სწავლება დაფინანსებული;
- 4.2.6 საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებულ და ალტერნატიული წყაროს მიერ გადმოსარიცხ დაფინანსებას შორის სხვაობის დაფარვის ვალდებულება ეკისრება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- 4.2.7 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წინარეკვიზიტების სისტემის დაცვის გამო ვერ ახერხებს საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სემესტრული/ტრიმესტრული სასწავლო კურსების სრული ოდენობით გავლას, მაშინ მის სემესტრულ/ტრიმესტრულ გადასახადს აკლდება იმ საგნის/საგნების ღირებულება, რომელსაც ის არ შეისწავლის მიმდინარე სემესტრში. სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება 4.2.9 პუნქტის თანახმად;
- 4.2.8 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სემესტრული/ტრიმესტრული სასწავლო კურსების სრული ოდენობის გარდა დამატებით

შეისწავლის სასწავლო კურსს/კურსებს, მაშინ მის სემესტრულ/ტრიმესტრულ გადასახადს ემატება იმ სასწავლო კურსის/კურსების ღირებულება, რომელსაც ის შეისწავლის მიმდინარე სემესტრში. სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება მე-9 პუნქტის თანახმად;

- 4.2.9 სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება მისი მოცულობისა (ECTS კრედიტის ოდენობის) და კრედიტის ღირებულების ნამრავლით;
- 4.2.10 სწავლების განსხვავებული საფასური ან / და გადახდის პირობები შესაძლებელია განისაზღვროს რექტორის ბრძანებით;
- 4.2.11 საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მეორე სემესტრიდან/ტრიმესტრიდან სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათების მისაღებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სავალდებულოა სტუდენტი იღებდეს მონაწილეობას მინიმუმ ორ თანმიმდევრულ რეიტინგში (მიმდინარე და წინა);
- 4.2.12 საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი პირველ სემესტრში/ტრიმესტრში სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათების მისაღებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხედველობაში მიიღება წინამდებარე დოკუმენტის 1.1.4 და 1.2.17 პუნქტებით დადგენილი რეიტინგები ან/და რექტორის ბრძანებით დადგენილი სხვა დამატებითი პირობები;
- 4.2.12¹ იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე სტუდენს აქვს თანაბარი სარეიტინგო, ქულა სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათების მისაღებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხედველობაში მიიღება კუმულაციური (ყველა ტრიმესტრის სასწავლო კურსების ქულათა ჯამი) რეიტინგი;
- 4.2.13 სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტის დაფინანსების საკითხი რეგულირდება წინამდებარე წესის 4.2.11 პუნქტით;
- 4.2.14 სტუდენტი, რომელიც დაარღვევს „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-7 და მე-8 მუხლებს (იხ. ვებ-გვერდი), საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების განმავლობაში ვერ მიიღებს სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათებს.

სასწავლო პროცესი

სწავლების ენა

სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ენაა ქართული. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე დასაშვებია ინგლისურენოვანი კომპონენტების გამოყენება.

აკადემიური წელი

1. აკადემიური წლის ხანგრძლივობა, სემესტრების ან/და ტრიმესტრების რაოდენობა და ხანგრძლივობა, არდადეგების ხანგრძლივობა და დასვენების დღეები – აკადემიური კალენდარი – მტკიცდება ყოველ კალენდარულ წელს რექტორის ბრძანებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასწავლო წელი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დგინდება რექტორის ბრძანებით.

სტუდენტის დატვირთვა

საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, განისაზღვრება:

- ა) სტუდენტის წლიური დატვირთვა (კრედიტების რაოდენობა);
- ბ) ერთი ECTS კრედიტის მოცულობა საათებში

- გ) კრედიტის მისაღებად სტუდენტის დატვირთვა: ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი მეცადინეობა, გამოცდების მომზადება-ჩაბარება, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, კვლევით ნაშრომზე მუშაობა და სხვა.

სტუდენტის შეფასების წესი

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ
 - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება (სასწავლო კურსების შემთხვევაში);
 - მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში (სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში).
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ
 - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი (სასწავლო კურსების შემთხვევაში).
 - მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას (სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში).
2. მოცემული შეფასების სისტემით ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი.
3. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
4. სასწავლო კურსები ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით.
5. დაუშვებელია სასწავლო კურსებისთვის კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
6. სასწავლო კურსში შეფასება (FX)–ის მიღების შემთხვევაში:
 - დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
 - სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
 - დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
 - დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
7. შეფასების ფორმებში დაწესებულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები:
 - შუალედურ შეფასებაში - $MID_{MIN} = MID * 35\%$, სადაც MID_{MIN} -ით აღნიშნულია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ხოლო MID -ით შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა. თუ სტუდენტის შუალედური შეფასება $< MID_{MIN}$ -ზე, მაშინ ის არ დაიშვება დასკვნით შეფასებაზე და მან საგანი უნდა შეისწავლოს ახლიდან.
 - დასკვნითი შეფასებაში - $FIN_{MIN} = FIN * 20\%$, სადაც FIN_{MIN} -ით აღნიშნულია დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ხოლო FIN -ით დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა. თუ სტუდენტის დასკვნითი შეფასება $< FIN_{MIN}$ -ზე, მაშინ მას ერთჯერადად ეძლევა დამატებით გამოცდაზე

გასვლის შესაძლებლობა. დამატებით გამოცდაზე გასვლის შემდეგ სასწავლო კურსში FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

- პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შეფასების კომპონენტები, მეთოდი და კრიტერიუმები. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დადგენილია შეფასების თითოეულ ფორმის და კომპონენტის ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.

დამატებითი სემესტრი/ტრიმესტრი

- სტუდენტს, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო დამატებითი სემესტრების/ტრიმესტრების განმავლობაში.
- საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სემესტრული სწავლების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მაქსიმუმ 4 (ოთხი) დამატებითი სემესტრით, ხოლო ტრიმესტრული სწავლების შემთხვევაში მაქსიმუმ 6 (ექვსი) დამატებითი ტრიმესტრით.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სწავლების რეჟიმი და გადახდის წესი

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისგან განსხვავებულ სწავლების რეჟიმად ითვლება სწავლება, როდესაც სტუდენტი პირადი მიზეზით (სტატუსის შეჩერება) ან/და აკადემიური მოსწრების გამო ჩამორჩება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმას და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სასწავლო გეგმაში შევა ცვლილებები;
- წინამდებარე წესის 1-ელი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო გეგმაში ცვლილებად ჩაითვლება:
 - სასწავლო კურსების კრედიტების გაზრდა/შემცირება;
 - საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო კურსის ამოღება/დამატება;
- განსხვავებული სწავლების რეჟიმის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია:
 - დაასრულოს ის საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც ჩაირიცხა;
 - წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული კრედიტების ტრანსფერის მიზნით.
- საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო კურსის ამოღების და ამ სასწავლო კურსზე მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს ვალდებულებას განახორციელოს სასწავლო კურსი კონკრეტული სტუდენტის/სტუდენტებისთვის, მათი რაოდენობიდან გამომდინარე სილაბუსის შესაბამისი მოდიფიკაციით.
- სტუდენტის მიერ მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არჩევანის შემთხვევაში, სტუდენტის მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის პროგრამით დადგენილ სასწავლო გეგმად განიხილება ის გეგმა, რომლის ფარგლებშიც მას უნდა გაეგრძელებინა სწავლა (ჩვეულებრივ სწავლის რეჟიმში);
- სტუდენტის მიერ მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არჩევანის შემთხვევაში, კრედიტების ტრანსფერი ხორციელდება შესაბამისი წესების დაცვით. სტუდენტის მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის პროგრამით დადგენილ სასწავლო გეგმად განიხილება მოდიფიცირებული პროგრამის მიმდინარე სასწავლო გეგმა;
- სტუდენტის სწავლის გადასახადი გამოითვლება 4.2.7-4.2.9 და მე-4 და მე-5 პუნქტების გათვალისწინებით. კერძოდ, სტუდენტის მიერ რეგისტრირებული სასწავლო კურსების შედარება უნდა მოხდეს მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილ სასწავლო გეგმებთან.

კვალიფიკაციის მინიჭება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს სკოლის საბჭო.

დიპლომი

- კვალიფიკაციას ადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული დიპლომი.
- სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის გაცემამდე სტუდენტი ვალდებულია დაფაროს სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ საბიბლიოთეკო, ფინანსური ან/და სხვა სახის მატერიალური დავალიანება.

3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

საკონტაქტო ინფორმაცია

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მიცკევიჩის 29, (+995 32) 444864.

ვებ-გვერდი: www.bog.edu.ge

ელ. ფოსტა: www.info.bog.edu.ge

„ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის“ ხელმძღვანელი - ნინო ლომიძე

ელ.ფოსტა: n.lomidze@bog.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 444 444 (8007)

„ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში“ ხელმძღვანელი - ნინო ლომიძე

ელ.ფოსტა: n.lomidze@bog.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 444 444 (8007)

აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე სტუდენტი უნდა დაუკავშირდეს ბიზნესის სკოლას

საკონტაქტო პირი: თამარ ლაპიაშვილი, სასწავლო მენეჯერი

ელ.ფოსტა: tlapiashvili@bog.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 444 444 (8151)

საკონტაქტო პირი: მერი ფანცულაია, სასწავლო მენეჯერი

ელ.ფოსტა: mpantsulaia@bog.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 444 444 (9589)